სირიის დღეებს მონაწილეები იყვნენ გურჯაანის რაიონში, ეწვივნენ ადგილობრივ მევენახეობის საბჭოთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ო. ჩერქეზიას, ესაუბრა საქართველოს დედაქალაქის განვითარების პერსპექტივებზე. (საინფორმო).

ნელი, რიგი და ჩვენ

ერთიანი სისტემა, ერთიანი მოთხოვნა

რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს თბილისში სრული წესრიგის დასამყარებლად

დისციპლინა და წესრიგი წარმატებით მუშაობის თავიდათავი და საფუძველია. თბილისის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მებრძოლი ავანგარდია. თბილისი, როგორც მას შეშვენის, დღითიდღე მშვენდება, სულ უფრო მტკიცედ აღვეთს ნაკლოვანებებს, განუხრელად აღგას სანიმუშო, კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის კურსს, — ეს სტატუტი ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გამართულ სამუშაო თათბირზე.

— ჩვენ ვცდილობთ, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ კურსის განხორციელებაში, — გვითხრა ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისტლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ პროფილაქტიკის დარგში ო. ბერიშვილმა. შემდეგ მან გაგვაცნო რაიონში წვრილმანი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორთვიურის ამსახველი მასალები.

დედაქალაქში ორჯონიკიძის რაიონი ერთ-ერთი მსხვილი ერთეულია თავის 225-ათასიანი მცხოვრებით. მის ტერიტორიაში შედის საბურთალოს მასივი, ბაგები, ახალდაბა, ვაშლიჯვარი, ნუცუბიძის ფერდობი, აგრეთვე ლისისა და კუს ტბები, ვაკის პარკი, სპორტის სასახლე. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ახალ-ახალ პრობლემებს წარმოშობს. სწორედ ამ სპეციფიკურობით აიხსნება ისიც, რომ აქ არის შინაგან საქმეთა ერთი რაიონული და სამი ქვეგანყოფილება.

შექმნილია ორთვიურის ხელმძღვანელობის შტაბი (თავმჯდომარე — შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი თ. ცქიტიშვილი). რაიონი დაყოფილია ოთხ სექტორად, მუშაობაში ჩაბმული არიან უბნის ინსპექტორები, არასრულწოვანთა ინსპექციის, გარესამსახურის მუშაკები და სახალხო რაზმელები. ისინი დღეენაადგ იბრძვიან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ადგილებზე იღებენ ზომებს წვრილმან დარღვევათა აღსაკვეთად. ამასთან გაბედულად ავლენენ სისტლის სამართლის დამნაშავეებს.

ორ კვირაში მათ დააკავეს არაერთი სისტლის სამართლის დამნაშავე, აგრეთვე პიროვნება, რომელიც მართლაც საჯულებას ემალებოდა, გამოაელინეს და მოაწესრიგეს 26 ოჯახური და მეზობლური კონფლიქტი, ჩამოაერთვეს 14 მცირეკალიბრიანი შაშხანა და 28 ჯების დანა, შეამოწმეს 43 ძნელი არასრულწლოვანი, საზოგადოებრივ კვების ობიექტებში ამხილეს და მოაწესრიგეს 6 შემთხვევა, აღმოაჩინეს 158 ატარებს მორიგეობის საათებს საგამომჭერელო საამქროს მუშატ. სისაური. იგი ორი თვით მიამაგრეს მილიციის პირველ ქვეგანყოფილებას, რომლის ხელმძღვანელთა დავალებებს ფხიზლად ასრულებს. მას გვერდს უმშვენებს მუშა გ. ბადაგაძე, რომელიც გამოირჩევა მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით, ოპერატიულობით, გამბედაობით.

ამასთან რაიონის სახალხო რაზმელთა მუშაობაში შეინიშნება ბევრი ნაკლი და ხარვეზი. ზოგიერთი საწარმო-დაწესებულება მარტო სახალხო რაზმელთა სიების შედგენით კმაყოფილდებან, აღარ ინტერესდება, თუ რას აკეთებენ რაზმელები, ამასთან დაკავშირებით ასეთი ფაქტი დაგვისახელეს: საშენ მასალათა სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებიდან შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში სამუშაოდ გაგზავნეს ტ. მესხი და რ. გონგაძე. ისინი მხოლოდ ორჯერ გამოცხადდნენ სამორიგეოდ, აღრიცხვა გაიარეს და მერე აღარ გამოჩენილან. ამ ფაქტზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია ადგილსამყოფელ დაწესებულების ხელმძღვანელობას.

დედაქალაქის კალინინის რაიონშიც იგრძნობა სწრაფვა ყველგან და ყველფერში სრულიადგენილია ადმინისტრაციული ოქმი, 39 ოქმი შედგა ანტისანიტარიის და წესის უყაირათოდ ხარჯვის გამო.

— დიდ ზემოქმედებას ახდენს სტენდი „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები — ვინ არცხვენენ თბილისს“. ეს სტენდი ყოველ ორ კვირაში ახლდება.

წესრიგის დაცვაში ფხიზლად მონაწილეობენ კალინინის რაიონის კომკავშირელები, ოპერატიული რაზმი. კომკავშირის რაიკომთან შექმნეს არასრულწლოვანთა ინსპექციის ოთახი საზოგადოებრივ საწყისებზე. რაზმელები და რეიდის მონაწილენი იკრიბებიან შტაბსა და შტაბ-ბინაში, მერე ჯგუფებად მიემართებიან თავიანთი საგუშაგოებისაკენ.

ახლახან პარტიის კალინინის რაიკომის პლენუმზე თქვა: საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთი ნაწილი არაფერს აკეთებს სახალხო რაზმელების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, თავს არიდებს მართლწესრიგის დაცვას და წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას, უგულებელყოფს ზემდგომ ორგანოთა მითითებებს.

ოლქკომი, ოლქსაბჭო, ოლქის ოლქკომ-ოლქსაბჭოს ეროვნული ეკონომიკის ბიუროს დადგენილებით

ბიბლიოთეკა დაცარიელდა

ზუგდიდი. („კომ.“ საკ. კორ.). კადრების სწორ შერჩევასა და დაწინაურებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც თავის რიგებში იღებს მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის, ახალგაზრდა პარტიულ მუშაკებს, თუ მათ სათანადო რეკომენდაციას აძლევენ კოლექტივები, სადაც ისინი მუშაობენ, თანაც ორგანოებში მუშაობის სურვილი აქვთ.

ერთ-ერთი ასეთთაგანი გახლავთ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ამავე სამმართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ჩაჩუა. ამ ენერგიულ მუშაკს ცხოვრების საკმაო გამოცდილება აქვს დაგროვილი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან მუშად დაიწყო მუშაობა, თანაც დაუსწრებლად სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში. ასევე დაუსწრებლად დაამთავრა მან ასპირანტურა და ახლა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ემზადება.

დ. ჩაჩუა ენგურჰესის მშენებლობამ 1975 წელს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ და მშენებლობის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიე. მან აქ თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა და ინიციატივიანმა მუშაკმა და თავი შეაყვარა მრავალათასიან კოლექტივს.

ამას წინათ გაიმართა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც განიხილა დ. ჩაჩუასათვის რეკომენდაციის მიცემის საკითხი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით. კრებაზე გამოსულებმა ილაპარაკეს დ. ჩაჩუას მტკიცე ნებისყოფაზე, პრინციპულობაზე, იმაზე, რომ იგი ღირსია მუშაობდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მას ერთხმად მისცეს რეკომენდაცია-დახასიათება ორგანოში სამუშაოდ მიღებისათვის.

კარგი იქნებოდა, რომ ეს სიახლე სხვა სამინისტროებშიც დაინერგოს.

ერთიანი მოთხოვნა-ბიბლიოთეკა დაცარიელდა

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ წერილში „საგვარეულო ღირსება“ გაკრიტიკებული იყო ზოგიერთი მილიციის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულების ფაქტი. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბ. გვეტაძის პასუხი. აი რას წერს იგი.

განხორციელებული სამსახურებრივი მოკვლევით სტადიაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. თანამშრომლები, რომლებმაც არ მიიღეს სათანადო ზომები თავიწყვეტილი ხულიგნის დასაკავებლად და დასადგენად, აღმოჩნდნენ გარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თელეთის მილიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამმებროს უფროსი ინსპექტორი ვ. ნ. მაისურაძე და ამავე ადგილის ინსპექტორი ა. ვ. ჩიფჩაური.

აღნიშნული საკითხი განვიხილეთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე. ვ. მაისურაძისა და ა. ჩიფჩაურს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, დოყლაპაობისა და უპრინციპობისათვის გამოეცხადათ შესაბამისად სასტიკი საყვედური და საყვედური.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილებათა უფროსებს მიეცათ მითითება სათანადო მუშაობა განახორციელონ თანამშრომლებს შორის სიფხიზლისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ასამაღლებლად, ხოლო სუალოგიური ფაქტების გამოვლინებისას როდესაც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი თანამდებობის პირებთან ცრუ თუ ნამდვილ ნათესაურ კავშირს ეფარებიან, დაუყოვნებლივ მოახსენონ სამინისტროს ხელმძღვანელობას.

„ქართული ღვინის ხელოვნური ფერადოვნების ... ...“

ბოლო ... ...

იტალიაში, „უნიტას“ ფესტივალზე

თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პირველი საზღვარგარეთული გასტროლების გამო

წითელი, შავად დაწინწკლული პეპელა იყო სიმბოლო „ფესტა ნაციონალე დელ უნიტა 1980“-ისა, რომელსაც ნახავდით ბოლონიის პარკებში თუ ქუჩებში გამოკრულს, პროგრამებსა თუ ფოფშებზე აღბეჭდილს. იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „უნიტას“ ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბისა გახდა. მასში მონაწილეობს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ამ მონაწილეობის ფორმა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები წარმოდგენილი იყვნენ თვიანთი ცენტრალური გაზეთების პავილიონებით, სპორტული დელეგაციებით, ეროვნული რესტორნებითა და ბარებით; საბჭოთა კავშირი — გაზეთ „პრავდის“ ვრცელი პავილიონით, აგრეთვე დრამის, ესტრადის, ცირკისა და სპორტის ოსტატებით.

გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ირანის, პალესტინის, ფრიკისა და აზიის ქვეყნების პავილიონები, სადაც ვრცელი ფოტომასალა ამხიერებდა იმპერიალისტთა ენით აუწერელ მხეცობას, მათ სისასტიკეს, ჯოჯოხეთურ სიბნელეს. ეს ფოტოდოკუმენტები ცხადზე უცხადესად გვიჩვენებდა, თუ როგორ ახშობდა სისხლის მორევში ირანის „განთლებული მონარქი“ — შაჰი— ტოტალური რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, თუ რა თავზარდამცემი ჯურღმულები გამოიარა კამპუჩიელმა ხალხმა პოლ პოტის და იან სარის დიქტატურის დროს, თუ როგორ ინანჯება მშობლიური ეროდან ლტოლვილი პალესტინელი არაბი, და რა შემაზარზენ სახეს იღებს შიმშილი, როცა იგი ადამიანსა და საქონლის ჩონჩხებით ჰფენს ფიროკის სავანებს...

ბოლონია. აქ იბეჭდება სწორედ „უნიტა“, აქ ფესტივალის ცენტრია, ხოლო ამ ცენტრის გულია უზარმაზარი „პარკი ნორდი“, სადაც სახელდახელოდ გამართულია უამრავი პავილიონი (თვალუწვდენელი რესტორნებით, ეფიფენთა და ბარებით), ესტრადა, სხვადასხვა ზომის ცირკის გუმბათოვანი შატიტოები, ლატარიის, ატრაქციონების (სადაც საკმაოდ აზარტული თამაშები იმართება) ეკრეთ წოდებული „სლოტ პალასების“ კარვები. ფესტივალი (იგი იწყება 30 აგვისტოს და 14 სექტემბერს მთავრდება) თავის აპოგეას აღწევს შაბათ-კვირას. ამ დღეებში ათასობით ბოლონიელი აწყდება პარკო ნორდს“ და იმართება საერთო-სახალხო სეირნობა, გართობა გამასპინძლებანი. აგრე, ერთ ესტრადაზე პოლიტიკურ სიმღერებს მღერიან, მეორე ესტრადაზე აფრიკელთა ფოლკლორული ჯგუფი გამოდის, მესამეზე— მარიონეტების თეატრი; ამ დროს რადიო მთელი ხმით გადმოსცემს საესტრადო მუსიკას, რომელიც ხანდახან წყდება. ხალხის ძირითადი მასა მაინც იქვე განლაგებულ ღია რესტორნებსა და კაფეებს ეტანება და იქიდან ადევნებს თვალყურს ესტრადაზე გამართულ სანახაობას.

ეს ფესტივალი ძირითადად საერთო-სახალხო სეირნობა-დღესასწაულია, მას კარნავალის ხასიათი აქვს თავისი მიამიტობისა და გროტესკისადმი სიყვარულის გამო. ხალხი სეირნობს პარკში და მკირე ხნით შეყოვნდება ბოლმე მაშინ, როცა მას ამ წუთში რაიმე მთხიბლავს. როგორც ამას ატრაქციონის ბუნება მოითხოვს, იგი ერთი სანახაობიდან მეორეზე გადადის, რათა ერთ დღეში ყველაფერი ნახოს. აქ მოდიან სულის მოსათქმელად, რათა ყოველდღიური ფსიქოლოგიური სტრესებისაგან განთავისუფლდნენ და მკირე ხნით მაინც ზურგი შეაქციონ ყოველდღიურ ჭირ-ვარამს. ეს ფესტივალი, ცხადია, „უნიტას“ დღესასწაულია, მაგრამ ზეიმში მონაწილეობს სხვადასხვა სოციალური ფენისა და მრწამსის ადამიანი, რაც თავისთავად თვით ფესტივალის პოპულარობას მოწმობს და იმასაც ადასტურებს, რომ გაზეთი „უნიტა“ იტალიის მილიონობით უბრალო ადამიანის, მშრომელების ინტერესებს გამოხატავენი. აქ ხალხმრავლობა იმიტომაც არის, რომ ამ „წითელ პარკებში“ საქმელი გაციდნებით იაფია, ვიდრე ქალაქის რესტორნებში, კაფეტერიებსა თუ „ბისტროებში“. თვით კომუნისტები უსასყიდლოდ ემსახურებიან ამ ფესტივალს, ისინი ამზადებენ საქმელს, დგანან დახლთან ან ატრაქციონების მოჯირეებთან. მთელი ეს შემოსავალი, რასაც ემატება აგრეთვე შესაწირავები, გადადის „უნიტას“ ბიუჯეტში.

ფესტივალის საკარნავალო ხასიათს მშვენივრად ერწყმის პოლიტიკური ღონისძიებებიც, მასობრივ-აგიტაციური სანახაობანი. სულმოობით ეს დიდი რესტორან-პავილიონები გადაქცეულია პოლიტიკური ფორუმების ადგილად, სადაც მწვავე დისპუტები იმართება კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. „პარკო ნორდის“ ჯიელაზე თვალსაჩინო ადგილას ორი უზარმაზარი ფერადი ფოტოსტენდია, სადაც აღბეჭდილია 2 აგვისტოს ექსტრემისტების მიერ აფეთქებული ბოლონიის რკინიგზის სადგური და ამ შემზარზენ ამბავთან დაკავშირებული მრავალათასიანი მატნერი (ფოლიოშემძღვარი ტკივილი გეფოფლება დანგრეული სადგურისა და დაღუპულთა სადა მემორიალის ხილვისას).

ბოლონიაში გამართული ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა ცნობილი იტალიელი პარტიზანი, ოჯროს მედალი ჯიელერი მიკელინი, რომელმაც ყველაფერი იღონა სტუმრების ღირსეული მიღებისათვის, მრავალი ორგანიზაციული პრობლემის მოგვარებისათვის. აქ არ შემიძლია არ მოვიხსენიო ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერალ რეზო თაბუკაშვილის ღვაწლი. მას ჯარად ეცნობენენ და დიდ პატივს სცემენ იტალიაში, განსაკუთრებით აფასებენ იტალიელი პარტიზანები. სწორედ რ. თაბუკაშვილის მეოხებით გახდა შესაძლებელი ყოფილ პარტიზანთა ორგანიზაციის მონაწილეობა ჩვენი თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბოლონიაში ჩასულებმა შეეტყვენი, რომ სამი წარმოდგენა უნდა გვეთამაშნა ნაცვლად ორისა. პირველი სპექტაკლი დანიშნული იყო პატარა, ძალიან ლამაზ ქალაქ რეჯიო ემილიაში.

აქ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს დასს ადგილობრივმა კომპარტიის XXVI ყრილობებს და, ჩა თქმა უნდა, ახალი სეზონის წინ ერთგვარ ანგარიშსაც ამბარებს თბილისელ მაყურებელს, თეატრალურ საზოგადოებრიობას, რომლის პირუთვნელი აზრი დიდად დაეხმარება თეატრს შემდგომი შემოქმედებითი ეტაპების ხორცშესხმაში.

ზ. ნემსაძე,
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.



ისე გამძაფრდა წყურვილი თამაშისა, რომ მან 6 სექტემბრის საღამოს იჩინა თავი. საუკეთესო იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი. მან მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა როლის შინაგან ნახაზში. მეტი ადამიანური სითბო, სიმშვიდე, სულიერი წონასწორობა იერძნობოდა ეპიზოდებსა და პირველ ეპიზოდებში, ჭოროსთან და ჭორუკებთან ურთიერთობაში. ამით მან უფრო რელიეფური გახადა ტრაგიკული კოლიზიის კულმინაციური მომენტები, უფრო ღრმად გამოაჩინა ის უფსკრული, რომელიც ბედისწერამ განუმზადა ამ გონიერ და სამართლიან ადამიანს. მაცნესთან და მწყემსთან სცენები მან, ეკიტყოდი, „ფსიქოლოგიური პიანოთი“ წარმართა, მოხსნა ის შემტევი და მრისხანე ტონი, რითაც იგი სხვა დროს მიმართავდა ამ ორ საცოდავ პლებეის და რითაც საშინლად აჯრთობდა მათ. ახლა ო. მეღვინეთუხუცესის მთელ ხმაში ლმობიერება, თანაგრძნობა და მოყვასის შერალების ნოტები ჟღერდა. შემდეგ მან თავზარდამკვნეი ძალით წარმოთქვა: „მაშ, ჩაქრი ზეო, თვალთა ჩემთა აღარ გიხილონ“ და ამით შინაგანი განწყობილების დასაწყისი უკვე უმთავრეს ტრაგიკულ მომენტად აქცია. შესრულების ამგვარმა მრავალფეროვნებამ და ნიუანსირებამ გამოიწვია ოიდიპოსის და ტრაგედიის სხვა გმირების ურთიერთობის გაღრმავება და გაადამიანურება. დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა და შინაგანი სინათლე გაჩნდა მ. ჯაფარიძე — ოიკასტესა და ოიდიპოსის უმთავრეს დიალოგში, როცა ეჭვის საშინელება პირველად, ერთდროულად ახელს თვალს ამ ორი ტრაგიკული პიროვნების სამყაროში. კრეონი — მ. ბებურიშვილი შინაგანი ღირსებით და ძალით იყო სავსე, ხოლო ტირესია — ი. ოჩანეიშვილი, როგორც ყოველთვის, წარმოადგენდა ჭეშმარიტად დრამატიულ პიროვნებას, რომელსაც ტანჯვის ნათელხილვის ნიჭი, ცოდნა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ანელებს მის ბუნებით სიმძაფრეს და შეუვალობას.

სანტერესო რამ მოხდა „მეგზედგი მზის“ წარმოდგენაზე. სპექტაკლის დასაწყისშივე ვიღაც ახალგაზრდა ექსტრემისტი წამოიჭრა, გამოვიდა შუა ადგილზე და ხმამაღლა მიმართა მაყურებელს — პროტესტის ნიშნად დატოვეთ სპექტაკლი, მორჩილი მონები, დეგენერატები ხართ, ამ სპექტაკლს რომ ესმენთო. არავინ არ დაძრულა ადგილიდან, არავის არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, არავის მოუხსნია სასმენი აპარატი (სინქრონული თარგმანი კარგად მიჰყვიდა ვ. ((ავარეშვილს) და იგიც, ჯუდამოძუებული გავიდა დარბაზიდან.

მაყურებელზე ფანატიკოთრებით იმოქმედა იმ სცენებმა, სადაც ნათლად არის ნაჩვენები ქართველი ადამიანის ჰუმანურობა, მისი სულგრძელობა, შემწყნარებლური ბუნება, სწორედ იმან, რაც ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი ნ. დუმბაძის ტალანტისათვის.

ამგვარი სცენების ფინალს მაყურებელი ტაშითა და მოწონების გამომხატველი შეძახილებით შეხვდა.

ვიმეორებ, ის მაყურებელი, ვინც ბოლონიაში დაესწრო ჩვენს სპექტაკლებს, ძალიან „ქმაყოფილი დარჩა, ჩვენ კი ერთგვარად გულდაწყვეტილნი, რადგან მაყურებელი არ იყო იმდენი, რამდენსაც ეს სპექტაკლები იმსახურებს.

ამ გულისტკივილს ანელებს ის გარემოება, რომ თეატრმა თავის მხრივ ყველაფერი იღონა, რათა მაღალპროფესიულ დონეზე ეჩვენებინა თავისი ხელოვნება, გამოიჩინა ორგანიზებულობა, გრძნობა ღირსებისა და ცხადყო პატივისცემა როგორც საბჭოთა ქართული თეატრალური ხელოვნებისადმი, ისე „უნიტას“ — იტალიის კომუნისტური გაზეთის ფესტივალის ორგანიზატორების მიმართაც.

ნოდარ გურაგანიძე.

ქრონიკა

დიდი წარმატება

მ. მნათობიშვილი ნ. კიკილაშვილი მ. შილაკაძე

რედაქციამ ცხადი ინტერესით ცნობა მიიღო პოლონეთიდან, სადაც სპორტულ აკრობატთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა. შეჯიბრებაში სხვებთან ერთად თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჭანანა მნათობიშვილმა, ნანა კიკილაშვილმა და მაია შილაკაძემ. მათ ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიპოვეს. ეს ამ ქართველი სპორტსმენი გოგონების პირველი და ყველაზე დიდი წარმატებაა საერთაშორისო ასპარეზზე, მანამდე კი ისინი გახულ წელს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო წლეულს საბჭოთა კავშირის თასიც მოიპოვეს.

მანანა და ნანა 18 წლისანი არიან და საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტში სწავლობენ, მაია კი 16 წლისაა და ჯერ მოსწავლეა. გოგონები, რომლებიც საერთაშორისო სპორტის ოსტატები არიან, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სპორტკლუბის ღირსებას იცავენ. მათ წვრთნის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალგაზრდამთავრებული სპეციალისტი ვლადიმერ გურგენიძე.

როგორც ვხედავთ, ნიჭმა და ნაყოფიერმა ვარჯიშმა კარგი ნაყოფი გამოიღო.

ლიტინსკაიას „მეორე სუნთქვა“

მდგომარეობა ვილნიუსის მატჩში მეტისმეტად გამწვავდა. ლიტინსკაია, როგორც ეს ადრეც არაერთხელ მომხდარა, სულ უფრო მეტი საბრძოლო ალტკინებით თამაშობს, გაცილებით უამეთ წარმართავს პარტიებს, ვიდრე მატჩის დასაწყისში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ალექსანდრიას სადებიუტო ექსპერიმენტი — პონციანის მივეწყებული დებიუტი მეექვსე პარტიაში მარცხით დამთავრდა. აი ეს შეხვედრაც:

ალექსანდრია — ლიტინსკაია
პონციანის დებიუტი

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. c3 ∂f6 4. d4 ∂:e4 5. d5 ∂b8 6. ¿d3 ∂f6 7. ∂:e5 d6 8. ¿b5+ ∂bd7 9. ∂f3 ¿e7 10. 0-0 0-0 11. ge1 ∂e5 12. h3 ∂:f3+ 13. g:f3 ∂d7 14. ¿f4 ¿g5 15. ¿g3 ∂b6 16. ∂a3 g:f6 17. ¿e2 ¿d7 18. gad1 gfe8 19. c4 ∂a4 20. ∂b5 g:f3 21. ¿:f3 g:e1+ 22. g:e1 ¿:b5 23. cb ∂:b2 24. h4 ¿f6 25. gc1 ¿d8 26. ge1 ∂gf8 27. ¿e4 h6 28. f3 ∂a4 29. h5 a6 30. ba g:a6 31. gb1 ∂c5 32. ¿f2 ∂:e4 33. fe b6 34. gb2 ga4 35. ge2 ∂gc8 36. g4 ∂gd7 37. ∂gg2 ¿f6 38. ∂gf3 ga8 + 39. ∂gg2 ¿e5 40. ¿e3 b5 41. ∂gf2 პარტია გადაიდო.

მეუთხიდე პარტიაში ალექსანდრიამ შავებით მიმართა სლავურ დაცვას, რომელიც მას კარგ სამსახურს უწევდა წინა მატჩში ახმილოვსკაიასთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ლიტინსკაია მატჩის წინ სპეციალურად მოემზადა ამ დასაწყისის წინააღმდეგ. რიგელ მანევრულ ბრძოლაში ალექსანდრიამ განახორციელა კომბინაცია, ლაზეირი შეაწირა ეტლსა და მხედარში, მაგრამ სათანადო კომპენსაცია ვერ მიიღო.

აი ამ პარტიის ტექსტიც:

ლიტინსკაია — ალექსანდრია
სლავური დაცვა

1. ∂f3 d5 2. d4 ∂f6 3. c4 c6 4. ∂c3 dc 5. a4 ¿f5 6. e3 e6 7. ¿:c4 ¿b4 8. 0-0 0-0 9. ge2 c5 10. ed1 ∂c6 11. ∂a2 ¿a2 12. dc ge7 13. ∂d4 g:c5 14. b4 ∂:b4 15. ¿a3 gfc8 16. ga1 gb6 17. ∂:f5 ef 18. gb1 ∂:a2 19. g:b6 ∂c3 20. ¿:f7+ ∂gh8 21. gf3 ab 22. gf1 gc7 23. ¿b3 ∂ce4 24. gc1 g:c1+ 25. ¿:c1 gc8 26. ¿d2 ¿c3 27. ¿:c3 g:c3 28. gd1 h5 29. ¿f7 ∂gh7 30. ¿:h5 gc5 31. h3 gd5 32. gb3 gc5 33. gf7 gc1 + 34. ∂gh2 ∂:f2 35. ¿g6+ ∂gh6 36. ¿:f5 gh1+ 37. ∂gg3 ∂e4+ 38. ¿:e4 ∂:e4+ 39. ∂gh4 ∂f6 40. gb7 ga1 პარტია გადაიდო.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრება არ შემდგარა. ლიტინსკაიამ აიღო „ტაიმ-აუტი“.

გ. გამრეკელი.

პრეზიდენტობის ნახევარფინალური მაგრებზე

ტანვაჭრობაში

ი. დევინა — თასის მფლობელი

თბილისის სპორტის სასახლეში სამი დღე მიმდინარეობდა სსრ კავშირის 1980 წლის პირველობა (ჯგუფური ვარჯიში) და საკავშირო თასის გათამაშება (პირადი) მხატვრულ ტანვარჯიშში.

ჯგუფურ ვარჯიშში 36,8-36,8 ქულით ლიდერობდნენ სსრ კავშირისა და უკრაინის ნაკრები გუნდები. მომდევნო ადგილებზე იყვნენ რუსეთის სფს რესპუბლიკისა (36,7) და საქართველოს (36,3) წარმომადგენლები.

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის 18 უძლიერესი ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ი. დევინამ (მოსკოვის ოლქი). მან ყველა სახეობაში მაღალი შეფასება დაიმსახურა — 38,5 და სპპატიო პრიზიც მოიპოვა. მეორე ადგილზეა ი. ლისოვსკაია (ბელორუსია) 38,3, ხოლო მესამეზე — ე. ტომასი (რსფსრ) 38,25. საქართველოს წარმომადგენელთაგან საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ ი. ყეჩიუკინას (37,15) და მ. ნადიბაიძეს (36,9). ისინი შესაბამისად VII და VIII ადგილებზე გავიდნენ.

გუშინ საღამოს გაიკვეა ჯგუფური ვარჯიში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ვინაობა. პირველი ადგილი დაიკავა სსრკ-ის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ი. ევმჩიჩინაც გამოდიოდა.

გუშინვე გათამაშდა სსრკ-ის თასი ცალკეულ სახეობებში. სახტუნაოთი, რგოლითა და ლენტით ვარჯიშში უძლიერესი იყო ი. დევინა. გურჯნებით ვარჯიშში პირველობა გაიყვეს ვ. ტომასმა და ი. ლისოვსკაიამ.

სურათზე: ე. დევინა.
ს. კოტოროშვილის ფოტო.

ხელგურთი

„ქარიშხალა“ ფინალურ ოთხეულშია

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე ეტაპის შეხვედრები. ფინალის ერთი საგზურისთვის ოთხი კოლექტივი იბრძოდა. ქვეჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა ფაქტობრივად თბილისის „ქარიშხალასა“ და კრასნოდარის სკიფის პაექრობამ გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, ეს მატჩი ქართველი ხელბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 29:17.

მართალია, კრასნოდარის „უროჟაისთან“ ბოლო შეხვედრაში „ქარიშხალა“ დამარცხდა (22:24), მაგრამ ამას უკვე პრინციპული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და ფინალური ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. დასკვნითი შეხვედრები 28-30 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება.

ფეხბურთი

გამარჯვება აუტსაიდერთან

21 სექტემბერი. თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. **14.000 მაყურებელი.** სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩი: **თბილისის „დინამო“-ლვოვის „კარპატი“ — 2:0 (1:0), მსაჯი ე. შკლოვსკი** (მოსკოვი).

„დინამო“: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი (ფანია), ჭილაია, ფარასელია, კაკილაშვილი (თავაძე), სულაქველიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

„კარპატი“: ფაროინიკი, რომანი, შერმეი, საულევიჩი, კოჩუბინსკი, ბროვარსკი, ბალი, დუბროვინი (მოსტრა), სუსლოპაროვი, დუმანსკი, დიკი.

გოლები: შენგელია (39-ე წ.), ყიფიანი (57-ე წ.).

21 სექტემბრის მატჩში „ლვოვის „კარპატთან“ გამარჯვებისათვის თბილისის „დინამოს“ ორი ფსიქოლოგიური მომენტი უწყობდა ხელს: ერთი ის, რომ „კარპატმა“ წლების მანძილზე ვერანაირი გასაღება ვერ მოიგო ჩვენს გუნდს და მატჩს მატჩზე აგებს, მეორე კი ის, რომ ლვოველები ახლა მეტად უფერულად გამოდიან ჩემპიონატში და აუტსაიდერები არიან.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ შეხვედრის პირველი 30 წუთი სტუმრებმა საკმაოდ სწორი ტაქტიკით წარმართეს. იყენებდნენ რა პრესინგს, ისინი უმეტესად ლომის მთელი გუნდით იცავდნენ. საკუთარი კარის მისადგომებს. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტისათვის „კარპატის“ წინ წაწეული ჰყავდა მხოლოდ ვ. დიკი, რომელსაც მოედნის სიღრმიდან გადაცემებით ამარაგებდნენ ა. ბალი და ტანმაღალი ი. სუსლოპაროვი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მან მთელი მატჩის განმავლობაში ჩინებულად ითამაშა, მაგრამ, ლვოველთა საბედნიეროდ, სუსლოპაროვისა და ბალის აქტიური მოქმედებას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს (უფრო სწორად გუნდში მათი ტოლფასოვანი მოთამაშეები არ არიან).

ახლა რაც შეეხება ჩვენს გუნდს. ჭილაია ცენტრალური ნახევარმცველის ნაცვლად კვლავ მარცხენა მცველად მოგვევლინა, ხოლო მისი ადგილი დაიკავა სულაქველიძემ, რომელიც ყიფიანთან ერთად თავისებურ ტანდემს ქმნიდა. აქტიურობდნენ ვ. დარასელია და რ. შენგელია, რომლებიც მარცხენა ფრთიდან და ცენტრიდან უტევდნენ მეტოქეს (მარჯვენა ფრთა საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი ს. კოჩუბინსკისა და ი. ფუბროვინს).

გარდატეხა მოხდა 39-ე წუთზე (ორი წუთით ადრე ტრავმა მიიღო ხინჩაგაშვილმა, რომლის ნაცვლად დაცვაში სულაქველიძე ჩადგა, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილი მოედანზე ახალგამოსულმა ქვანიამ დაიკავა). საჯარიმო დარტყმიდან ყიფიანის ზუსტად მიზოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარისაგან ზურგით მდგარმა შენგელიამ ორჯერ აკენწლა და შემობრუნებით ზუსტად დაარტყა — 1:0.

მეორე ტაიმში სტუმრები მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადნენ, რაც იმით გამოიხატა, რომ ნახევარმცველმა დუბროვინმა დაცვის მარჯვენა ფრთა მიატოვა და წინ წავიდა თავდასხმის გასაძლიერებლად. ამ აქტიურობისათვის „კარპატი“ დაისაჯა: 57-ე წუთზე შენგელია გაიქცა კოჩუბინსკის და გრძელი, გამქოლი ბურთი ჩაუფოდა სტუმართა საჯარიმო მოედნის მარცხენა ფრთაზე. აქ „მეორე სართულზე“ ჩელებაძემ იმარჯვა და ბურთი ყიფიანს გადასცა, რომელმაც ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა მოედანზე და „დინამომ“ აქტივში ორი ქულა ჩაიწერა. თუმცა ერთიც უნდა აღინიშნოს: თბილისელთა თამაშს, თუ ერთ ეპიზოდს არ ჩავთვლით (როცა მეორე გოლი გავიდა), აკლდა კომბინაციური სტილი, აქცენტი ინდივიდუალურ გარღვევებზე იყო გამახვილებული. საფიქრებელია, რომ თამაშის ასეთი მანერა გუნდს ყველა მატჩში არ გამოადგება.

გ. ქოჩიაშვილი.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნეფტჩი“-„დინამო“ (კ) — 0:1, „დინამო“ (მ)-ცსკა — 1:2, „სპარტაკი“-„ზენიტი“ — 1:1, „ყაირათი“-„შახტიორი“ — 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ტურის შემდეგ

„დინამო“ კ	16	8	4	45—14	35
„სპარტაკი“	12	9	2	31—13	33
„ზენიტი“	10	8	5	35—30	28
ცსკა	10	8	5	25—21	28
„შახტიორი“	9	8	6	32—28	26
„დინამო“ თბ.	10	5	8	33-23	25
„ჩერნომორ.“	9	6	8	23—26	24
„დინამო“ მნ.	7	12	4	29—27	24
სკა	8	7	8	25—24	23
„არარატი“	6	10	7	24—26	22
„ყაირათი“	7	7	9	21—31	21
„ნეფტჩი“	6	8	9	21—26	20
„უფანი“	6	7	10	23—27	19
„ტორპედო“	6	7	10	17—22	19
„დინამო“ მ.	4	10	9	19—25	18
„ფახთაქორი“	5	7	11	16—26	17
„ლოკომოტ.“	5	6	12	23—32	16
„კარპატი“	4	6	13	15—36	14

დარჩა 3 ტური

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდებმა 27-ე ტურის შეხვედრები გამართეს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორი მატჩი: **სამტრედიის „ლოკომოტივი“-ლენინაკანის „შირაქი“ და რუსთავის „მეტალურგი“-აბოვიანის „კოტაიკი“. გათამაშების ლიდერებმა — სამტრედიელებმა დიდი ანგარიშით (4:0) გაიმარჯვეს, მათი უახლოესი კონკურენტები — აბოვიანელი ფეხბურთელები კი ფრეს (0:0) დასჯერდნენ.**

პირველობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე გათამაშების ცხრილს 40 ქულით ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი“, მეორე ადგილზე მყოფ „კოტაიკს“ 36 ქულა აქვს.

შეგახსენებთ მეორე ლიგიდან პირველ ლიგაში გუნდების გადასვლის რეგლამენტს, რომელიც ახლახან დამტკიცა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ. **I ლიგას დატოვებენ უკანასკნელ სამ ადგილზე გამოსული კოლექტივები, მათ ნაცვლად კი მეორე ლიგის ცხრა ზონიდან კანდიდატურები შემდეგი წესით შეირჩევა: ცხრავე ზონაში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები წილისყრით შექმნიან სამ ქვეჯგუფს, რომელშიც მოწინააღმდეგეები ორ წრედ (მახპინძლად და სტუმრად) გამართავენ ტურნირს. სწორედ ამ სამ ქვეჯგუფში გამარჯვებული სამი გუნდი ისპარეზებს მომავალ წელს პირველ ლიგაში.**

ახე რომ, სამტრედიელ ფეხბურთელებს ერთ-ერთი ასეთ ქვეჯგუფში ასპარეზობა თითქმის გარანტირებული აქვთ, აქ კი ვნახოთ...

ნ. ნაკაშიძე

ერუდიციული ბლიცთამაკა

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 52 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 1953 წლიდან სკკპ წევრი ნოდარ თადეოზის ძე ნაკაშიძე.

1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნ. ნაკაშიძე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროსს მეცნიერ თანამშრომლად.

ნ. ნაკაშიძის სამეცნიერო ინტერესები ძირითადად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემატიკას მოიცავდა. დიდძალი დოკუმენტური მასალის ღრმა მეცნიერული შესწავლის შედეგად მან გამოაქვეყნა მონოგრაფია თემაზე: „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელშიც ახლებურად გააშუქა მრავალი საკითხი.

ნ. ნაკაშიძის ალაბამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები, ფეოდალური ხანის საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ისტორიის საკითხებზე. სანიმუშოა ცნობილი გამოკვლევა „წიწამურიდან ბახტრიონამდე“, რომელშიც სათანადო მეცნიერული სიღრმით არის გაშუქებული ქართველი ხალხის თვითმყოფადობისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი.

მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული წყაროების ძველ რუსულ ენაზე თარგმნისა და მეცნიერული გამოცემის საქმეს. 1972 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდი იგი ქართველთა საბჭოთა ენციკლოპედიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის რედაქციის უფროსი მეცნიერი რედაქტორი იყო. ნ. ნაკაშიძე წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერ-ისტორიკოსი, გულმხურვალე მამულიშვილი და სანიმუშო მოქალაქე, რომლისგანაც კიდევ ბევრ საინტერესო გამოკვლევას მოველოდით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია; საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოება.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

23 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვერმია“ (მ.), 09.40 — მხატვრული ფილმი „შეიდმარა დაშვება არ შეიძლება“ (ფ.), 17.00 — აბიგურიენგთათვის— ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — სსრ კავშირის თასზე მხატვრული ტანვარჯიში, 18.10 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 18.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.00 — ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ — „შეიბრობრობის მერიდიანზე“ (ფ.), 10.30 — მოსწავლეთათვის — „ბარათი ჭერეიდან“ (ტელემერეებით), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ეოამბე“ (ფ.), 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოტაცება“, მეორე სერია (ფ.), 21. 35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძველი ნავი“, 22.00 „ვერმია“ (მ.). 22.35 — კონცერტი (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.55 — რუსული ს